სააქციო საზოგადოება "ნიკორა~-ს (ს/კ 200050675)
<u>აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი #24/07/2026-1</u>

აქციონერთა კრება გაიმართა 2026 წლის 2 იანვარს წესდებით გათვალისწინებული წესით.

კრების ჩატარების ადგილი: ქ.თბილისი, ა.მრევლიშვილის N2
კრების დაწყების დრო: 14:00 საათი

აქციონერთა მორიგი საერთო კრების კენჭისყრის შედეგები

დღის წესრიგი:

- სს ,,ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი"-ს ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე, დივიდენდის განაწილება.
- საჭიროების შემთხვევაში სს ,,ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი"-ს მიერ ობლიგაციების ემისიის პროსპექტში ცვლილებების შეტანა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, დამსწრე კაპიტალის (აქციათა) 70.81784%-ს ხმის უფლების მქონე 4 286 765 ცალი აქციის მესაკუთრე აქციონერთა გადაწყვეტილებით, კერძოდ:

1. 2026 წლის აქციონერთა პირველ საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით გაგრძელდეს ჩვეულებრივი კლასის აქციონერებზე დივიდენდის განაწილება.
2. კრება ადასტურებს რომ 2025 წლის 25 ივლისის კრების ოქმის ფარგლებში ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშრებით გენერალური დირექტორის უფლებამოსილება მოიცავდა ნებისმიერი პირობის განსაზღვრას, ცვლილებას, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს აღნიშნული ემისიის პროსპქტის ფარგლებში, მათ შორის ობლიგაციების ვალუტის განსაზღვრა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის" გენერალურ დირექტორი უფლებამოსილია ობლიგაციების ემისიის პროსპექტში შეიტანოს ცვლილებები, შეცვალოს პირობები, თავად განსაზღვროს ცვლილებების შინაარსი (მათ შორის შეცვალოს ობლიგაციების რაოდენობა, თითოეულის ნომინალური ღირებულება, ობლიგაცების ვალუტა, დაფარვის ვადა, კუპონის პროცენტის ოდენობა, გამოშვება-განთავსების პერიოდულობები და ყველა სხვა საჭირო პირობა) და უზრუნველყოს აღნიშნული ცვლილებების პროსპექტში ასახვისათვის საჭირო მოქმედებების განხორციელება თავად ან/და უფლებამოსილი წარმომადგენლის/კონტრაქტორის/განთავსების აგენტის მეშვეობით, ასევე განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება, ხელი მოაწეროს ნებისმიერ შეთანხმებას/ხელშეკრულებას ან დოკუმენტს, რომელიც აუცილებელია ამ ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ფასიანი ქაღალდების/ობლიგაციების პროსპექტში ცვლილებების შეტანისათვის.